საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-08/27

ქ. ბათუმი 07 ივლისი, 2014 წელი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლისათვის მასწავლებელთა და უფროს მასწავლებელთა მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2010 წლის 9 ივლისის N73 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ში 2014-2015 სასწავლო წლისათვის საათობრივი ანაზღაურების წესით მასწავლებელთა და უფროს მასწავლებელთა შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი;
2. კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით დაევალოს დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებთან შეთანხმებით იმ სასწავლო კურსების (საგნების) განსაზღვრა, რომელთა წასაკითხად კონკურსის წესით მოწვეული უნდა იყვნენ მასწავლებლები/უფროსო მასწავლებლები.
3. დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს ამ ბრძანების აღსრულების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანების გამოცემა და ბსუ-ს ვებ-გვერდზე, ასევე საინფორმაციო დაფებზე განთავსება არაუგვიანეს 2014 წლის 9 ივლისისა.
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება კანცელარიული წესით იწარმოოს 2014 წლის 16 ივლისის ჩათვლით;
5. დარგობრივ დეპარტამენტებს და შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს დაევალოს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 9 ივლისის N73 დადგენილებისა და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა 2014 წლის 19 ივლისამდე;
6. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2014 წლის 12 სექტემბრისა;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილების ქ. N30)
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი *ა. ბაკურიძე*